ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

1932 წლის მარტის 31	№ 8 განყოფილების პირველი	ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის გამოცემა.

შინაარსი:

დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

მუხ. 56. ა/კსფსრ შრომის წითელი დროშის ორდენის დებულების დამტკიცების შესახებ.

57. „საგადასახადო რეფორმისა და საგზაო მეურნეობის დაფინანსების წესის თაობაზე“ გამოცემულ სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებასთან დაკავშირებით ა/კსფსრ-ის კანონმდებლობის შეცვლის შესახებ.

58. ა/კსფსრ შრომის წითელი დროშის ორდენის სტატუტის დამტკიცების შესახებ.

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

59. ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან არსებული ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

60. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ.

61. ა) კომუნალური მეურნეობისა, მომარაგებისა და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების სისტემათა სამეცნიერო-სატექნიკო საბჭოების მიერ პროექტების ექსპერტიზის წარმოებისათვის გადასახდევინებელი სასყიდლის დროებითი ნორმების შესახებ.

ბ) ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსაგან დამტკიცებული ა/კსფსრ-ში სამშენებლო კონტროლის ორგანოების მიერ გადასახდევინებელ სამშენებლო გამოსაღებთა წესების გაუქმების შესახებ.

62. კომუნალური მომსახურეობის სასყიდლის ანგარიშების განაღდების წესისა და ვადების შესახებ.

63. 1933 წლის მშენებლობის პროექტთა დამზადების ვადების შესახებ.

64. 1932 წლის მშენებლობის ობიექტთა პროექტების შედგენისათვის ზღვრული ვადების დადგენის შესახებ.

65. იმ ბოროტმოქმედებებთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ, რაც ხდება ბამბის კონტრაქტაციის დროს და რაც იწვევს სახელმწიფო სახსარის განბნევას.

66. ამიერკავკასიაში ბამბის თესვის ხელმძღვანელი კომისიის მოწყობის შესახებ.

67. სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი ა/კსფსრ სახალხო კომისარიატებისა და დაწესებულებების მიერ საადმინისტრაციო-სამმართველო საჭიროებისათვის ბიუჯეტგარეშე სახსრების ხარჯვის შესახებ.

68. 1931 წლისთვის საბინაო მშენებლობის ღირებულების ლიმიტების შესახებ.
69. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკებისათვის 1932 წლის საბინაო მშენებლობის ღირებულების ლიმიტების შესახებ.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

70. „ა/კსფსრ-ში შრომისა და გარე-სამუშაოზე გასვლის დაგეგმვის თაობაზე“ მიღებული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის დეკემბრის 1-ის დადგენილების აღსრულების მსვლელობის შესახებ.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

56. ა/კსფსრ შრომის წითელი დროშის ორდენის დებულების დამტკიცების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

დამტკიცებულ იქნეს ქვემომდევნო დებულება ა/კსფსრ შრომის წითელი დროშის ორდენის შესახებ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ა/კსფსრ შრომის წითელი დროშის ორდენის შესახებ.

1. ა/კსფსრ-ის წინაშე წარმოებისა, სამეცნიერო მოღვაწეობისა, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი სამსახურის სფეროში განსაკუთრებულ დამსახურებათა აღსანიშნავად არსდება ორდენი „ა/კსფსრ შრომის წითელი დროშა“, რომლის გამოსახულებას და აღწერილობას ამტკიცებს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

2. ა/კსფსრ შრომის წითელი დროშის ორდენით შეიძლება დაჯილდოებულ იქნენ როგორც ცალკეული მოქალაქენი, ისე კოლექტივები, დაწესებულებანი, საწარმონი და საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

3. ა/კსფსრ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოება მოხდება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ან მისი პრეზიდიუმის დადგენილებით ა/კსფსრ უწყებებისა, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების წარდგენისამებრ.

4. ორდენს „ა/კსფსრ შრომის წითელი დროშა“ აქვს თავისი სტატუტი, რომელსაც ამტკიცებს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

5. ორდენს „ა/კსფსრ შრომის წითელი დროშა“ დაჯილდოებული ატარებს მკერდის მარცხენა მხარეს.

ორდენით დაჯილდოებული კოლექტივი მიამაგრებს მას თავის დროშას.

6. ა/კსფსრ შრომის წითელი დროშის ორდენთან ერთად დაჯილდოებულს ეძლევა განსაკუთრებული სიგელი (ღრამატა), რომელსაც ამტკიცებს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

7. ა/კსფსრ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებული უნდა წარმოადგენდეს მაგალითს სხვა მოქალაქეთა და კოლექტივთათვის როგორც ყველა იმ საერთო მოვალეობის აღსრულების საქმეში, რასაც მას კანონი აკისრებს, ისე იმ სპეციალურ მოვალეობათა აღსრულების საქმეში, რასაც დაჯილდოებულს ორდენის სტატუტი აკისრებს,

8. ა/კსფსრ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულს ჩამოერთმევა იგი მხოლოდ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ან მისი პრეზიდიუმის სპეციალური დადგენილებით, სასამართლო განაჩენის თანახმად, უწყებული მოქალაქისა თუ კოლექტივის გამაწბილებელი საქციელისათვის და ორდენის სტატუტით დაკისრებულ მოვალეობათა სისტემატიურად შეუსრულებლობისათვის..

9. ა/კსფსრ შრომის წითელი დროშის ორდენის ტარება ისეთი მოქალაქის მიერ, რომელსაც ამის უფლება არა აქვს, გამოიწვევს პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის წესით.

10. ა/კსფსრ შრომის წითელი დროშის ერთი ან რამდენიმე ორდენით დაჯილდოებულს აქვს ამა დებულებაში აღნიშნული უფლებანი და უპირატესობანი.

11. ა/კსფსრ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულს ეძლევა ა/კსფსრ ბიუჯეტით ყოველთვიურად ა/კსფსრ შრომის წითელი დროშის პირველი ორდენისათვის 30 მანეთი, ხოლო თვითეული შემდგომი ორდენისათვის 25 მანეთი. ეს ფული ეძლევა დაჯილდოებულს მისი სამუშაო ხელფასის თუ პენსიის გარეშე, რა რაოდენობისაც უნდა იყოს იგი, მის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ დადგენილი წესისამებრ.

12. ა/კსფსრ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებული უმუშევრობის შემთხვევაში იგზავნება სამუშაოზე პირველ რიგში უმუშევართა სხვა კატეგორიებთან შედარებით.

13. ა/კსფსრ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულის შვილები მიიღებიან ყველა სასწავლებელში მუშათა შვილების თანაბრად.

14. ა/კსფსრ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულს აქვს პირადი უფლება ტრამვაით უფასოდ მიმოსვლისა ა/კსფსრ ყველა ქალაქში.

15. ა/კსფსრ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებული ა/კსფსრ ტერიტორიაზე ქირას საცხოვრებელი ფართობისათვის იმ სახლებში, სადაც ბინის ქირა ადგილობრივი საბჭოს მიერ დადგენილი განაკვეთების მიხედვით იხდევინება, იხდის 10-დან 50-დე პროცენტის დაკლებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონაკლების რაოდენობას, დაჯილდოებულთა შემოსავლის მიხედვით, აწესებენ ადგილობრივი საბჭოები.

ქირას ზედმეტი ფართობისა და დამატებითი ფართობისათვის დაჯილდოებული იხდის ერთჯერადი რაოდენობით.

16. ა/კსფსრ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულს კოლექტიურ მეურნეობაში შესვლისათვის აქვს ის შეღავათები, რაც დაწესებულია ღარიბ მეურნეობათათვის.

17. ა/კსფსრ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებული უზველყოფილი უნდა იქნეს პენსიით იმ საფუძველზე, რაც დადგენილია სსრკ-ისა და ა/კსფსრ-ის კანონმდებლობით პერსონალური პენსიების შესახებ.

18. ამა დებულების მე-12, 13, 15 და 16 მუხლებში ჩამოთვლილი შეღავათები, დაჯილდოებულის სიკვდილის შემთხვევაში, ვრცელდება მის ოჯახზე: მეუღლეზე, არასრულწლოვან შვილებზე და მის რჩენაზე მყოფ შრომისუუნარო პირებზე.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1932 წ. მარტის 17.
ტფილისი.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

57. „საგადასახადო რეფორმისა და საგზაო მეურნეობის დაფინანსების წესის თაობაზე“ გამოცემულ სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებასთან დაკავშირებით ა/კსფსრ კანონმდებლობის შეცვლის შესახებ.

„საგადასახადო რეფორმის შესახებ“ გამოცემულ სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. სექტემბრის 2-ის დადგენილებასთან (სსრკ კან. კრ. 1930 წ. 46 №-ი, მუხ. 476) და „სპეციალური საგზაო ფონდების შესახებ“ გამოცემულ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. იანვრის 6-ის დადგენილებასთან (ა/კსფსრ კან. კრ. 1931 წ. მე-2-ე

№-რი, მუხ. 14) დაკავშირებით—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. გაუქმებულ იქნეს:

ა) ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ოქტომბრის 17-ის დადგენილება „რესპუბლიკანური საგზაო ფონდების დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ“ და თვით დებულებაც (ა/კსფსრ კან. კრ. 1929 წ. მე-20 №-ი, მუხ. 191);

ბ) ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ოქტომბრის 17-ის დადგენილება „ადგილობრივი საგზაო ფონდების დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ“ და თვით დებულებაც (ა/კსფსრ კან. კრ. 1929 წ. მე-20 №-ი, მუხ. 192);

გ) ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. დეკემბრის 7-ის დადგენილება „ადგილობრივი მნიშვნელობის გზატკეცილებისა და ყამირგზების გამგებელ ადგილობრივ ორგანოთა და საამიერკავკასიო, რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო საწარმოთა, კოოპერატიულ ორგანიზაციათა და შერეულ სააქციო საზოგადოებათა შორის ამ უკანასკნელთა საგზაო მშენებლობის ხარჯში მონაწილეობის საკითხის გამო აღძრული შეუთანხმებლობის გადაწყვეტის წესის შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1929 წ. 23 №-ი, მუხ. 220).

2. ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების 79 მუხლი (ა/კსფსრ კან. კრ. 1931 წ. მე-3 №-ი, მუხ. 29) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 79. ადგილობრივი საგზაო ფონდები შეიქმნება განსაკუთრებული კანონის თანახმად“.

3. შრომის საგზაო ბეგარის დებულების მე-8, 14 და 16 მუხლებიდან (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-13 №-ი, მუხ. 148) ამოიშალოს მინიშნება სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატიულ ამხანაგობებზე და არტელებზე.

4. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარ სამართველოს—ასახოს ამა დადგენილების მე-2 და 3 მუხლებში აღნიშნული ცვლილებანი შრომის საგზაო ბეგარის დებულების 28 მუხლით გათვალისწინებულ ინსტრუქციაში.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1932 წ. მარტის 17.
ტფილისი.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

58. ა/კსფსრ შრომის წითელი დროშის ორდენის სტატუტის დამტკიცების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მარტის 17-ის დადგენილებით დამტკიცებული ა/კსფსრ შრომის წითელ დროშის ორდენის დებულების შესაბამისად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

დამტკიცებულ იქნეს შემდეგი სტატუტი ორდენისა „ა/კსფსრ შრომის წითელი დროშა".

სტატუტი ორდენისა „ა/კსფსრ შრომის წითელი დროშა".

1. ორდენით „ა/კსფსრ შრომის წითელი დროშა" ჯილდოვდებიან ცალკეული მოქალაქენი, დაწესებულებანი, საწარმონი, კოლექტივები და საზოგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოებრივი ორგანიზაციები განსაკუთრებული დამსახურებისათვის ა/კსფსრ-ის წინაშე წარმოებისა, სამეცნიერო მოღვაწეობისა, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი სამსახურის სფეროში.

2. ორდენი „ა/კსფსრ შრომის წითელი დროშა“ ნიშანია, რომელიც შესდგება ოვალური ჩამოსხმული ვერცხლის ფირფიტისაგან ზომით: $4 \times 4^1/_2$ სანტიმეტრი, 1 სანტიმეტრზე ამოზნექილი; ფირფიტას შემოვლებული აქვს წითელი დროშის მარჯვენა მხარიდან მარცხენა მხარემდე თავთავისა, დაფნის ფოთლებისა, ბამბისა და ჩაისაგან შედგენილი გვირგვინი; წითელი დროშა, რომელსაც აწერია „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით“, გაშლილია ორდენის ზევითა ნაწილში მარცხენა მხარიდან მარჯვნივ.

დროშის ზედა პირი მარცხენა მხარეს უჭირავს დროშის ბუნზე—შუბთან—მიბმულ წითელ ბანტს, რომლის ჩამოშვებულ ბოლოებს აწერია ქართულ და თურქულ ენაზე „ა/კსფსრ“. ორდენის ცენტრის გასწვრივ თეთრ მინანქრიან არეზე, დროშის ბუნზე გადაჯვარედინებული, მიიმართება ბუნი ალმოდებული მაშხალისა, როგორც კულტურის სიმბოლოსი; ეს ბუნი იმავე სიგრძისაა, როგორც დროშის ბუნი; ორივე ბუნი მოოქროვებულია გალვანოპლასტიკით; ბუნთა ბოლოები ოდნავ ჩამოშვერილია ორდენის ქვედა კიდეში. ამავე თეთრ არეზე, ქვევით, მარცხნივ, მიმაგრებულია წითელი მინანქრის, ოქროს ნაპირებიანი ხუთკიდურიანი ვარსკვლავი, რომლის შუაგულშიაც თეთრ არეზე გამოსახულია ოქროს ნამგალი და ურო, გარშემოვლებული ოქროს გვირგვინით დაფნის ფოთლებისაგან; ვარსკვლავ ზევით წარწერაა რუსულ ენაზე „ა/კსფსრ“; ვარსკვლავის ქვემოდ, მარჯვნივ გამოსახულია გაპრიალებული ვერცხლის გრდემლი, რომელზედაც მიმაგრებულია ოქსიდირებული, მკრთალი ფერის ვერცხლის ურო (როგორც პროლეტარული ძლიერების სიმბოლო); გრდემლზე წარწერაა სომხურ ენაზე „ა/კსფსრ“; გრდემლის ქვედა ნაწილს ჰფარავს ოქროს გვირგვინი—ორდენის საერთო არშია. გრდემლის ზევით გამოსახულია ნავთის სარეწაოს კოშკი, რომელიც შესდგება ძველი ვერცხლის იმიტაციისაგან.

3. ა/კსფსრ შრომის წითელი დროშის ორდენით აჯილდოვებს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ან მისი პრეზიდიუმი ა/კსფსრ უწყებებისა, დაწესებულებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარდგენით.

4. დაჯილდოებულისათვის ა/კსფსრ შრომის წითელი დროშის ორდენის ჩასაბარებლად იგი ეგზავნება იმ უწყებას, დაწესებულებას ან ორგანიზაციას, რომელმაც შეიტანა წარდგინება დაჯილდოების შესახებ, ან ორდენი გადაეცემა დაჯილდოებულს პირდაპირ ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში.

5. ა/კსფსრ შრომის წითელი დროშის ორდენთან ერთად დაჯილდოებულს ეძლევა განსაკუთრებული სიგელი (ღრამატა) შემდეგი შინაარსის ტექსტით:

„ამიერკავკასიის მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და წითელფლოტელთა დეპუტატების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი იმის აღსანიშნავად, რომ (ამა და ამ მოქალაქემ თუ ამა და ამ დაწესებულებამ, კოლექტივმა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა მისთ.) შეასრულა თავისი რევოლიუციონური ვალი სოციალისტური სამშობლოს წინაშე პროლეტარული სახელმწიფოს სამეურნეო მშენებლობისა და ეკონომიური და კულტურული ძალოვნების განმტკიცების ფრონტზე,—ადგენს: დაჯილდოვებულ იქნეს იგი ა/კსფსრ შრომის წითელი დროშის ორდენით".

ამ სიგელს (ღრამატას) ხელს მოაწერენ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე და მდივანი.

6. ა/კსფსრ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულ მოქალაქეთ ენიჭებათ ამ ორდენის დებულებით დადგენილი შეღავათები და უპირატესობანი.

7. ა/კსფსრ შრომის წითელი დროშის ორდენის ტარება სავალდებულოა საბჭოთა ყრილობების სხდომებზე, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესსიებზე, ოფიციალურ პარადებზე, რევოლიუციონურ ღღესასწაულებზე და საზეიმო კრებებზე.

8. ა/კსფსრ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებული კოლექტივი მიამაგრებს მას თავის დროშას.

9. ა/კსფსრ შრომის წითელი ორდენით დაჯილდოებულ პირს ეკრძალება ამ ორდენის ტარება დაპატიმრებისა თუ დატუსაღების დროს, ვიდრე ეს დაპატიმრება თუ დატუსაღება გათავდებოდეს.

10. ა/კსფს შრომის წითელი დროშის ორდენის ჩამორთმევა მოხდება მხოლოდ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით, ა/კსფსრ შრომის წითელი დროშის ორდენის დებულების მე-8 მუხლის შესაბამისად, იმ დაწესებულების და ორგანიზაციის დასკვნის მოთხოვნის შემდეგ, რომლის შუამდგომლობითაც უწყებული მოქალაქე თუ კოლექტივი დაჯილდოებულ იქნა ა/კსფსრ შრომის წითელი დროშის ორდენით.

11. ა/კსფსრ შრომის წითელი დროშის ორდენი, რომლითაც დაჯილდოებულია მოქალაქე, ამ უკანასკნელის სიკვდილის ან უგზოუკვლოდ დაკარგვის შემთხვევაში, გადაეცემა მასთან მცხოვრებ მისი ოჯახის წევრებს.

12. ა/კსფსრ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებული მოვალეა:

ა) ხელი შეუწყოს სოციალისტურ მშენებლობას აქტიური მონაწილეობის მიღებით სოციალისტურ შეჯიბრებაში, დამკვრელ საამქროებში, ბრიგადებში, რაზმებში და სხვ. მისთ.;

ბ) აწარმოოს აქტიური საზოგადოებრივი მუშაობა იმ საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, რომლებთანაც დაკავშირებულია დაჯილდოებულის ძირითადი საქმიანობა;

გ) აქტიური მონაწილეობა მიიღოს სპეციალურ კამპანიებში, რაც დაკავშირებულია დაჯილდოებულის ძირითად საქმიანობასთან.

13. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და მისი პრეზიდიუმის დადგენილებანი ა/კსფსრ შრომის წითელი დროშის ორდენით და-

ჯილდოებისა და ამ ორდენის ჩამორთმევის შესახებ გამოქვეყნდება ა/კსფსრ მთავრობის ოფიციალურ ორგანოებში.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე ფ. **მახარაძე.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე გ. **მუსაბეკოვი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი გ. **სულთანოვი.**

1932 წ. მარტის 17.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

59. ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან არსებული ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს ქვემომდევნო დებულება ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან არსებული ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის კომიტეტის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე გ. **მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ა. **შავერდოვი.**

1932 წ. მარტის 8.
ტფილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან არსებული ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის კომიტეტის შესახებ.

1. ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის კომიტეტი არსებობს ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან.

2. კომიტეტს დაეკისრება:

ა) შეიმუშაოს ძირითადი დირექტივები და აგრეთვე ცალკეული პრობლემები და ღონისძიებები ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის ხაზით;

ბ) შეიმუშაოს სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის საპერსპექტივო გეგმები, ხერხი და წესი ამ გეგმების განხორციელებისათვის; აგრეთვე განიხილოს სახალ-

ხო მეურნეობის წლიური გეგმები იმ თვალსაზრისით, რომ ამ გეგმებში აისახოს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის ამოცანები;

გ) შეიმუშაოს, ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმის მეშვეობით, ა/კსფსრ მთავრობისათვის დასამტკიცებლად წარსადგენად, ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის საკითხების შესახები დადგენილებების პროექტები;

დ) მისცეს, სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, დასკვნები უწყებების მიერ ა/კსფსრ საკანონმდებლო ორგანოებში შეტანილ დადგინილებათა პროექტების შესახებ;

ე) მისცეს ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმს დასკვნები ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის სექტორების მიერ დამუშავებული ყველა იმ საკითხის თაობაზე, რაც ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის ქიმიზაციას ეხება;

ვ) საერთო მეთვალყურეობა იქონიოს დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ ძირითად ღონისძიებათა განხორციელებისათვის ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის სფეროში;

ზ) განახორციელოს უშუალო კავშირი იმ სამეცნიერო-სატექნიკო, სამეურნეო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, რომლებიც ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის საკითხების სფეროში მუშაობენ;

თ) მოაწყოს, არსებული წესისამებრ, ყრილობები, კონფერენციები და თათბირები ქიმიზაციის საკითხებისათვის და აგრეთვე მონაწილეობა მიიღოს საერთანადო საკავშირო ყრილობების და კონფერენციების მოწყობასა და მუშაობაში;

ი) შეაგროვოს და გაავრცელოს ინფორმაცია მიღწევათა და სამუშაოთა შესახებ ქიმიის სფეროში ა/კსფსრ ტერიტორიაზე და მისი ფარგლების გარეშეც.

3. კომიტეტს უფლება აქვს:

ა) მიანდოს ა/კსფსრ უწყებებსა და სხვა დაწესებულებებს, აგრეთვე ქიმიზაციის რესპუბლიკანურ კომიტეტებს ქიმიზაციის ხაზით ცალკეული საკითხების დამუშავება და მოხსენებებისა, მასალებისა და ცნობების მომზადება;

ბ) მიიზიდოს ცალკეული პირები სასყიდლით ან უსასყიდლოდ, საზოგადოებრიობის პრინციპებზე, მოხსენებებისა და მასალების შემუშავებისათვის;

გ) მიიზიდოს ქიმიზაციის საკითხების განსახილველად ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის სექტორებისა, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების საგეგმო ორგანოებისა და ა/კსფსრ უწყებებისა, დაწესებულებებისა, ორგანიზაციებისა და ცალკეულ საწარმოთა პასუხისმგებელი წარმომადგენელნი და აგრეთვე ავტორიტეტიანი ექსპერტები და სპეციალისტები;

დ) მოაწყოს მუდმივი და დროებითი კომისიები ცალკეული საკითხების შესამუშავებლად;

ე) მოსთხოვოს ა/კსფსრ ყველა უწყებას და სხვა დაწესებულებას პერიოდული ანგარიშების წარდგენა ქიმიზაციის სფეროში მუშაობისა და ამ მუშაობის კონტროლის დაყენების შესახებ;

ვ) გამოსცეს პოპულარული და სამეცნიერო ჟურნალები, ნაშრომები, ანგარიშები და სხვა ნაბეჭდი მასალები ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის საკითხების ხაზით;

ზ) მოაწყოს გამოფენები, ლექციები, კონსულტაციები და კონკურსები ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის საკითხებისათვის;

თ) გაგზავნოს თავისი წარმომადგენლები სსრკ-ის ყველა დაწესებულებაში ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის საკითხების განხილვაში მონაწილეობის მისაღებად.

4. კომიტეტს ჰყავს პლენუმი და პრეზიდიუმი. პრეზიდიუმის წევრთა რიცხვში შედის კომიტეტის მსწავლული მდივანი.

5. კომიტეტის პლენუმისა და პრეზიდიუმის წევრთა პერსონალურ შედგენილობას ამტკიცებს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო, ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმის წარდგენით.

6. კომიტეტის პლენუმი მოიწვევა წელიწადში ორჯერ მაინც კომიტეტისათვის დაკისრებული უაღრესი მნიშვნელობის საკითხების განსახილველად. კერძოდ, იგი განიხილავს:

ა) ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის ძირითადი დირექტივების პროექტებს;

ბ) ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის საპერსპექტივო და წლიურ გეგმებს ქიმიზაციის ამოცანების თვალსაზრისით;

გ) მოხსენებებს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის ქიმიზაციისა და ქიმიური მრეწველობის ცალკეული დარგების და საკითხების თაობაზე;

დ) ანგარიშებს და მოხსენებებს კომიტეტის პრეზიდიუმის მოქმედების შესახებ.

7. კომიტეტს ჰყავს განსაკუთრებული ტეხნიკური აპარატი, რომლის შტატებიც მტკიცდება არსებული წესისამებრ.

8. კომიტეტის შესანახი ხარჯები გატარებული უნდა იქნეს ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის ხარჯთაღრიცხვაში.

9. კომიტეტის განკარგულებაშია სპეციალური ფულადი ფონდები ცალკეულ სამეცნიერო-საკვლევო სამუშაოთა სასუბსიდიოდ, პრემიების გასაცემად საუკეთესო სამეცნიერო-საკვლევო სამუშაოებისათვის ქიმიზაციის სფეროში, სტიპენდიების დასასიშნად მსწავლული ქიმიკოსებისათვის, სამეცნიერო-სატეხნიკო საზოგადოებათა სამუშაოების დასაფინანსებლად და დოტაციების მისაცემად სამეცნიერო ნაშრომების გამოცემისათვის.

10. კომიტეტს აქვს თავისი ბეჭედი ა/კსფსრ სახელმწიფო ღერბის გამოსახულებით.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

60. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ა/კსფსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამართველოს დებულების დამტკიცების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ და გამოქვეყნებულ იქნეს ქვემომდევნო დებულება ა/კსფსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარ სამმართველოს შესახებ.

2. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. აპრილის 9-ის დადგენილება „ა/კსფსრ გზატკეცილებისა და ყაზარმებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარ სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1929 წ. მე-8 №-ი, მუხ. 70) გაუქმებულ იქნეს.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1932 წ. მარტის 8.
ტფილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ა/კსფსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს შესახებ.

1. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ა/კსფსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს ამოცანას შეადგენს უხელმძღვანელოს, დაგეგმოს და მოაწესრიგოს ა/კსფსრ საგზაო მეურნეობა და საავტომობილო ტრანსპორტი.

2. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ა/კსფსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველო, ექვემდებარება-რა უშუალოდ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს, იმყოფება სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის ცენტრალური სამმართველოს მიმართ თანამოსახლე სახალხო კომისარიატის მდგომარეობაში და თავისი მოქმედებით ანხორციელებს როგორც ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს, ისე სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და

საავტომობილო ტრანსპორტის ცენტრალური სამმართველოს დირექტივებსა და დავალებებს.

უკეთუ სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის ცენტრალური სამმართველოს დირექტივა და დავალება არ შეესაბამება სსრკ-ის კანონმდებლობას ან ა/კსფსრ-ის კანონმდებლობას, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ა/კსფსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველო განაპროტესტებს ამ განკარგულებას ა/კსფსრ სახალხო კომისარიატებისათვის დადგენილი წესით.

3. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ა/კსფსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს ქვემდებარე ორგანოები არიან ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტოანსპორტის სამმართველოები, მათი ქვემდებარე ადგილობრივი ორგანოებით.

რესპუბლიკანური სამმართველოები, ექვემდებარებიან-რა უშუალოდ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს, იმყოფებიან მთავარი სამმართველოს მიმართ თანამოსახელე სახალხო კომისარიატების მდგომარეობაში და თავისი მოქმედებით ანხორციელებენ როგორც ამ რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებისა, ისე ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ა/კსფსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს დირექტივებსა და დავალებებს.

აღნიშნული ორგანოების დებულებები დამტკიცდება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კანონმდებლობის წესით.

4. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ა/კსფსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმრთველოს გამგებლობის საგანს შეადგენს:

ა) გაუწიოს ხელმძღვანელობა, ინსტრუქტირება და ინსპექტირება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამართველოების მუშაობას; უშუალოდ განაგოს რესპუბლიკანური დანიშნულების გზატკეცილები და ყამირგზები; გაუწიოს ინსტრუქტირება და ინსპექტირება ურელსო საგზაო მშენებლობას, რასაც ანხორციელებენ ა/კსფსრ სხვა უწყებანი; გაუწიოს ინსტრუქტირება და ინსპექტირება ა/კსფსრ სხვა უწყებებისა და ფედერატიული მნიშვნელობის ორგანიზაციების საავტოტრანსპორტო მეურნეობებს;

შენიშვნა. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებული დადგენილების თანახმად—მთავარ სამმართველოს შეიძლება დაეკისროს საერთო-საკავშირო მნიშვნელობის გზებისა და ამ გზებზე ცალკეულ ნაგებობათა შენახვა და შენება;

ბ) შეადგინოს, განიხილოს და წარმართოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დასადასტურებლად ან დასამტკიცებლად გზათა მშენებლობის ჯუმლობითი საპერსპექტივო და საწარმოო გეგმები; გაუწიოს ინსტრუქტირება ამ საკითხების გამო ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების საგზაო

ორგანოებს; შეიმუშაოს საგზაო მშენებლობის საკონტროლო ციფრები და თვალყური ადევნოს საგზაო ორგანოების მიერ საგზაო მშენებლობის გეგმების აღსრულებას;

გ) აწარმოოს საკვლევო სამუშაოები საგზაო და საავტომობილო მეურნეობის სფეროში; ხელმძღვანელობა გაუწიოს ასეთსავე სამუშაოებს, რასაც სათანადო შემთხვევაში აწარმოებენ რესპუბლიკანური საგზაო ორგანოები; წარმართოს მუშაობა საგზაო მეურნეობის ინვენტარიზაციის ხაზით; შეადგინოს გზების საერთო რუკები და ეკონომიური რუკები;

დ) შეადგინოს და წარუდგინოს, არსებული წესისამებრ, ა/კსფსრ მთავრობას დასამტკიცებლად და განახორციელოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებსა, ა/კსფსრ უწყებებს და ფედერატიული მნიშვნელობის ორგანიზაციებს შორის ავტომანქანების განაწილების გეგმები; დაამყაროს ამ გეგმების შესადგენად საჭირო განცხადებათა წარდგენის წესი; დაგეგმოს და მოაწესრიგოს სათადარიგო ნაწილებით, საავტოტრანსპორტო გაწყობილობით და სხვა საექსპლოატაციო მასალებით და აგრეთვე საგზაო მანქანებით და ჭურვებით მომარაგების საქმე;

ე) შეადგინოს რესპუბლიკანური გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოების ფონდირებული მასალებით მომარაგების ჯუმლობითი გეგმები; გაანაწილოს მათ შორის მიღენილი ფონდები;

ვ) დაგეგმოს და ხელმძღვანელობა გაუწიოს კადრების მომზადებისა, აღნუსხვისა და გამოყენების საქმეს ურელსო საგზაო მეურნეობისა და საავტომობილო ტრანსპორტისათვის; მოაწყოს თავის გამგებლობაში უმაღლესი სასწავლებლები ამ კადრების მოსამზადებლად; მისცეს რესპუბლიკანურ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამართველოებს დირექტივები იმ საკითხების შესახებ, რაც ეხება მათი ქვემდებარე ტეხნიკური სასწავლებლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების კურსებისა, ავტოპარკისათვის და საგზაო მანქანებისათვის შოფერთა და მძღვანებელთა შედგენილობის მოსამზადებელი სკოლებისა და კურსების მოწყობას და გამგებლობას;

ზ) გაანაწილოს ამიერკავკასიის საგზაო ფონდი და ხელმძღვანელობა გაუწიოს მის გამოყენებას; შეადგინოს რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობისათვის საჭირო სახსართა განაწილების პროექტები და წარუდგინოს ეს პროექტები დასამტკიცებლად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს; თვალყური ადევნოს რესპუბლიკანური და ადგილობრივი საგზაო ფონდების სისწორით გამოყენებას;

თ) შეიმუშაოს და განახორციალოს ღონისძიებანი საგზაო მეურნეობის და საავტომობილო ტრანსპორტის რეკონსტრუქციისა და რაციონალიზაციისათვის; მოაწყოს სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებანი და ხელმძღვანელობა გაუწიოს მათ მუშაობას; მოაწყოს შესწავლა და გამოყენება უცხოეთის ტეხნიკის მიღწევებისა ურელსო გზების და საავტომობილო ტრანსპორტის შენებისა, გაწყობისა, გამგებლობისა და ექსპლოატაციის სფეროში; ხელი შეუწყოს გამომგონებლობას ურელსო საგზაო მეურნეობისა და საავტომობილო ტრანსპორტის სფეროში და სასარგებლო გამოგონებათა განხორციელებას;

ი) საერთო ხელმძღვანელობა გაუწიოს ურელსო გზების კაპიტალურ მშენებლობას, რემონტს და შენახვას;

კ) განიხილოს და დაამტკიცოს, არსებული წესისამებრ და დადგენილი ლიმიტების ფარგლებში, ყველა კლასის ურელსო გზებისა, გარაჟებისა და საავტორემონტო სახელოსნოების კაპიტალური მშენებლობის პროექტები; იქონიოს მეთვალყურეობა, რათა განხორციელებულ იქნეს ყველა სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოსათვის, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის სავალდებულო ტექნიკურ-ეკონომიური ნორმები, მზომები და წესები ურელსო გზებისა და ამ გზებზე მდებარე ხელოვნურ და სამოქალაქო ნაგებობათა გამოკვლევისა, პროექტირებისა, გამართვისა, შენახვისა, რემონტისა, დაცვისა და გამოყენების სფეროში;

ლ) თვალყური ადევნოს ურელსო გზებისა და მათზე მდებარე ხელოვნურ და სამოქალაქო ნაგებობათა, აგრეთვე გარაჟებისა და სარემონტო ბაზისების მშენებლობისათვის დადგენილი ტიპური პროექტებისა, ნორმებისა და სტანდარტების სისწორით გამოყენებას;

მ) გაუწიოს რეგულირება საავტოტრანსპორტო მეურნეობას და აგრეთვე—კონტროლი ტექნიკურ-ეკონომიური ნორმებისა და მზომების დაცვას გარაჟებისა და ავტობაზისების ექსპლოატაციის სფეროში;

ნ) თვალყური ადევნოს მოსახლეობის ძალთა და სახსართა არსებული წესისამებრ გამოყენებას საგზაო მშენებლობაში;

ო) წარუდგინოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად რესპუბლიკანური მნიშვნელობის ურელსო გზების სია და აგრეთვე—დასადასტურებლად, შემდგომი წარმართვის მიზნით, პირველი კლასის (საერთო-საკავშირო მნიშვნელობის) გზების სია;

პ) გამოიკვლიოს სხვადასხვა ტიპისა და მარკის ავტო-მოტო-მანქანების ძუშაობა ა/კსფსრ-ის ფარგლებში და მისცეს დასკვნები ამ საკითხების შესახებ;

ჟ) მოაწყოს არსებული წესისამებრ სამეურნეო ანგარიშის საფუძვლებზე მომქმედი შენაერთნი და საწარმონი და დაამტკიცოს მათი წესდებანი; გაუწიოს სადირექტივო-საგეგმო ხელმძღვანელობა, ინსტრუქტირება და კონტროლი მათ მოქმედებას;

რ) მოაწყოს ურელსო გზებისა, საავტორემონტო ბაზისებისა, სახელოსნოებისა და საწყობების დაცვა საერთოდ და აგრეთვე სახანძარო დაცვა—კერძოდ;

ს) მოაწყოს ურელსო საგზაო მეურნეობისა და საავტომობილო ტრანსპორტის ხაზით საალნუსხვო-სასტატისტიკო მუშაობა და ხელმძღვანელობა გაუწიოს მას; ხელმძღვანელობა გაუწიოს ურელსო საგზაო მეურნეობის ინვენტარიზაციას; შეადგინოს კონიუნქტურული მიმოხილვები და ჯუმლობითი ანგარიშები ურელსო საგზაო მეურნეობისა და საავტომობილო ტრანსპორტის მდგომარეობის შესახებ;

ტ) შეადგინოს და წარუდგინოს საკანონმდებლო ორგანოებს დასამტკიცებლად ა/კსფსრ ფარგლებში საგზაო მეურნეობისა და საავტომობილო საქმის მრეგულირებელი კანონპროექტები; თვალყური ადევნოს ამ საკითხების შესახებ არსებული სსრკ-ის და ა/კსფსრ-ის კანონმდებლობისა და აგრეთვე სსრ-კის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული გზატკეცილებისა, ყამირგზებისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და საავტომობილო ტრანსპორტის ცენტრალური სამმართველოს განკარგულებების აღსრულებას;

უ) მოიწვიოს არსებული წესისამებრ ყრილობები და თათბირები ა/კსფსრ საგზაო და საავტომობილო მეურნეობის საკითხების გამო და აგრეთვე მონაწილეობა მიიღოს სხვა უწყებებისა და ორგანიზაციების მიერ მოწვეულ ყრილობებსა და თათბირებში.

5. ა/კსფსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველო გამოსცემს თავისი გამგებლობის საგნების ხაზით საჭირო წესებს, ინსტრუქციებს და აგრეთვე, სათანადო შემთხვევაში, სავალდებულო დადგენილებებს; თანაც განსაზღვრავს ადმინისტრატიულ გადასახდელს მათი დარღვევისათვის.

6. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ა/კსფსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს აპარატის სტრუქტურას განსაზღვრავს ამ სამმართველოს უფროსი—ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

7. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ა/კსფსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს დაფინანსება განხორციელდება სსრკ-ისა და ა/კსფსრ ის კანონმდებლობით განსაზღვრული წესისამებრ.

8. ა/კსფსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს სათავეში სდგას უფროსი, რომელსაც დანიშნავს ა/კსფსრ სახალხო კომისიათა საბჭო; ამავე წესით დაინიშნებიან მისი მოადგილენი.

9. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ ა/კსფსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარ სამმართველოს აქვს ბეჭედი ა/კსფსრ სახელმწიფო ღერბის გამოსახულებით და თავისი სახელწოდებით.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

61. ა) **კომუნალური მეურნეობისა, მომარაგებისა და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების სისტემათა სამეცნიერო-სატექნიკო საბჭოების მიერ პროექტების ექსპერტიზის წარმოებისათვის გადასახდევინებელი სასყიდლის დროებითი ნორმების შესახებ.**

ბ) **ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსაგან დამტკიცებული ა/კსფსრ-ში საამშენებლო კონტროლის ორგანოების მიერ გადასახდევინებელ სამშენებლო გამოსაღებთა წესების გაუქმების შესახებ.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. სექტემბრის 2-ის დადგენილების თანახმად (სსრკ კან. კრ. 1930 წ. 46 №-ი, მუხ. 476) გაუქმებულ იქნეს მომქედი „წესები ა/კსფსრ-ში

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშენებლო კონტროლის ორგანოების მიერ გადასახდევინებელ სამშენებლო გამოსაღებთა შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-6 №-ი, მუხ. 77).

2. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. ოქტომბრის 1-ის დადგენილების მე-11 მუხლის (ა/კსფსრ კან. კრ. 1931 წ. მე-19 №-ი, მუხ. 219) ნაწილობრივ შესაცვლელად დაწესებულ იქნეს ქვემომდევნო დროებითი ნორმები იმ სასყიდლისა, რაც გადახდევინებულ უნდა იქნეს კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატისა, მომარაგების სახალხო კომისარიატისა და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სისტემათა სამეცნიერო-სატექნიკო საბჭოების მიერ პროექტების ექსპერტიზის წარმოებისათვის.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1932 წ. მარტის 8.
ტფილისი.

დროებითი ნორმები

იმ სასყიდლისა, რაც გადახდევინებულ უნდა იქნეს კომუნალური მეურნეობისა, მომარაგებისა და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების სისტემათა სამეცნიერო-სატექნიკო საბჭოების მიერ პროექტების ექსპერტიზის წარმოებისათვის.

1. საცხოვრებელი შენობების პროექტების ექსპერტიზისათვის სასყიდელი გადაიხდევინება შემდეგი ცხრილის თანახმად:

კატეგ.	როდესაც სამუშაოები ღირს	სასყიდლის ნორმა	შ ე ნ ი შ ვ ნ ა
1	30.000 მანეთამდე	100 მან.	საესკიზო პროექტების ექსპერტიზის სასყიდლის ნორმაში შედის სასყიდელი ძირითად განზრახულებათა ექსპერტიზისათვის 35%-ის რაოდენობით.
2	50.000 „	180 „	
3	100.000 „	260 „	
4	200.000 „	390 „	
5	300.000 „	460 „	
6	400.000 „	530 „	
7	500.000 „	600 „	
8	1.000.000 „	750 „	
9	2.000.000 „	900 „	
10	2.000.000 „ მეტი	0,045%	

2. სხვა სახის მშენებლობის პროექტების ექსპერტიზისათვის, გარდა სამრეწველო მშენებლობისა, იმისდამიუხედავად, თუ ვის ექვემდებარება იგი, სასყიდელი გადაიხდევინება შემდეგი ცხრილის თანახმად:

კატეგ.	როდესაც სამუშაოები ღირს	სასყიდლის ნორმა	შ ე ნ ი შ ვ ნ ა
1	30.000 მანეთამდე	100 მან.	1. საესკიზო პროექტების ექსპერტიზის სასყიდლის ნორმაში შედის სასყიდელი ძირითად განზრახულებათა ექსპერტიზისათვის 35%-ის რაოდენობით.
2	50.000 „	245 „	
3	100.000 „	400 „	
4	200.000 „	520 „	
5	300.000 „	620 „	
6	400.000 „	710 „	2. სამრეწველო მშენებლობას შეეფარდება ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მიერ დადგენილი ნორმები.
7	500.000 „	800 „	
8	1.000.000 „	1.000 „	
9	2.000.000 „	1.200 „	
10	2.000.000 „ მეტი	0,06%	

3. სამუშაოთა ღირებულება გამოიანგარიშება ხარჯთაღრიცხვით; ხოლო უკეთუ ხარჯთაღრიცხვის სისწორე ეჭვს იწვევს ან ხარჯთაღრიცხვა წარდგენილი არ არის, ღირებულებას გამოიანგარიშებს ექსპერტიზის მწარმოებელი ორგანო გადიდებული მზომების მიხედვით.

4. დასახლებული ადგილების დაგეგმვის და გადაგეგმვის პროექტების ექსპერტიზისათვის სასყიდელი გადაიხდევინება:

საანგარიშო რაოდენობა მოსახლეობისა ქალაქსა თუ დაბაში	სასყიდლის ნორმა მანეთობით	აქედან ძირითად განზრახულებათა ექსპერტიზისათვის
5.000 კაცამდე	900	400
10.000 „	1.100	500
20.000 „	1.500	600
50.000 „	1.600	700
100.000 „	1.700	800
150.000 „	2.000	900
150.000 „ მეტი	2.000 მან.+თითო კაპიკი თვითეულ კაცზე, რაც 150.000 მეტია	50%

შენიშვნა. დასახლებული ადგილის დაგეგმვის იმ პროექტზე, რაც სხვა პროექტის შემადგენელი ნაწილია, განსაკუთრებული სასყიდელი, 1-ლ და მე-2 მუხლებში აღნიშნული სასყიდლის ზედმეტად, არ გადაიხდევინება.

5. პროექტის ხელმეორედ ექსპერტირების შემთხვევაში, უკეთუ პირვანდელი პროექტი უარყოფილია არსებითი ნაკლოვანების გამო, სასყიდელი გადაიხდევინება არა უმეტეს 1, 2 და 4 მუხლებში აღნიშნული სასყიდლის ნახევარი რაოდენობისა.

შენიშვნა. უკეთუ პროექტი უარყოფილია იმის გამო, რომ იგი ხელახლად უნდა იქნეს შედგენილი, ხელმეორედ ექსპერტირების შემთხვევაში სასყიდელი გადაიხდევინება 1, 2 და 4 მუხლში აღნიშნული რაოდენობით.

6. ტიპური პროექტების ექსპერტიზისათვის 1 და 2 მუხლებში აღნიშნული სასყიდელი გადაიხდევინება ერთი-სამად.

7. ზემოაღნიშნული ექსპერტიზების მოცულობაში შედის მხოლოდ საერთო გადათვალიერება და წარდგენილ გამოანგარიშებათა ამორჩევითი შემოწმება. უკეთუ პროექტის წარმდგენელ ორგანოსათვის საჭიროა გამოანგარიშებათა მთლიანი შემოწმება, ამის სასყიდელი გადახდილ უნდა იქნეს ცალკე გამოანგარიშებათა რვეულის თვითეულ გვერდზე 10 მან. ვარაუდით, ხოლო არა ნაკლებ 25 მანეთისა თვითეულ შემოწმებაზე.

8. საწარმოო ხარჯთაღრიცხვების ექსპერტიზისათვის სასყიდელი გადაიხდევინება შემდეგი ცხრილის თანახმად:

კატეგორია	სამუშაოთა ღირებულება მანეთობით	საბინაო მშენებლობის ხაზით	სხვა სახის მშენებლობის ხაზით
		სასყიდლის ნორმა მანეთობით	სასყიდლის ნორმა მანეთობით
1	30.000 მანეთამდე	25	45
2	50.000 „	85	145
3	100.000 „	120	190
4	200.000 „	140	235
5	300.000 „	160	270
6	400.000 „	180	300
7	500.000 „	200	330
8	1.000.000 „	250	450
9	1.000.000 „ მეტი	0,025%	0,045%

9. უკეთუ ექსპერტიზა გამოსატანია საორიენტირო ხარჯთაღრიცხვის გამო, სასყიდელი გადიხდევინება მე-8 ბუხლში აღნიშნული სასყიდლის ნახევარი რაოდენობით.

10. ექსპერტიზა ხარჯთაღრიცხვების თაობაზე გამოიტანება წარდგენილი მასალების საერთო განხილვისა და ამორჩევითი შემოწმების მიხედვით.

უკეთუ ხარჯთაღრიცხვის წარმდგენელ ორგანოსათვის საჭიროა სახარჯთაღრიცხვო გამოანგარიშებათა მთლიანი შემოწმება, ამის სასყიდელი გადახდილ უნდა იქნეს ერთი-ორად ჩვეულებრივი დასკვნის სასყიდელთან შედარებით.

11. სასყიდელი იმ ცალკეული კერძო საკითხების ექსპერტიზისათვის, რაც გათვალისწინებული არ არის ამა ნორმებით, განისაზღვრება დაინტერესებული ორგანიზაციებისა და ექსპერტიზის მწყრმოებელი ორგანოების ერთიერთმანეთთან შეთანხმებით.

12. შესათანხმებლად ან მუშაობის დაწყების ნებართვის მისაცემად პროექტების განხილვისათვის სასყიდელი არ გადაიხდევინება,

13. სასყიდელი ექსპერტიზისათვის შეიტანება სპეციალურ ანგარიშზე იმ დაწესებულებაში, რომელთანაც არსებობს სათანადო სამეცნიერო-სატეხნიკო საბჭო.

14. ექსპერტიზა მოხდება იმის შემდეგ, რაც მიიღება შეტყობინება, რომ მე-13 მუხლში აღნიშნული სასყიდელი შეტანილია.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

62. კომუნალური მომსახურეობის სასყიდლის ანგარიშების განაღდების წესისა და ვადების შესახებ.

საზოგადოებრივი სარგებლობის კომუნალურ საწარმოთა პროდუქციის გაცემის რეგულირების მიზნით და ამ საწარმოთა და მათი პროდუქციის მომხმარებელთა შორის ანგარიშების მოსაწესრიგებლად სამეურნეო ანგარიშის საფუძვლების შესაბამისად—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს ყველა ფედერატიულ და საერთო-საკავშირო დაწესებულებას, საწარმოს და ორგანიზაციას—საზოგადოებრივი სარგებლობის კომუნალურ საწარმოთა პროდუქციის ხარჯვა აწარმოოს იმ სახსრებისა ფარგლებში, რაც გათვალისწინებულია მისი სამრეწველო-საფინანსო გეგმით და ხარჯთაღრიცხვით კომუნალური მომსახურეობისათვის და არავითარ შემთხვევაში არ გადაამეტოს ეს ხარჯი და არ დაადგროოს დავალიანება კომუნალური მომსახურეობის ხაზით.

2. დაევალოს ყველა ფედერატიულ და საერთო-საკავშირო სახელმწიფო დაწესებულებას და საწარმოს, როგორც სამეურნეო ანგარიშზე, ისე სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფს, აგრეთვე ყველა კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციას—გაანაღდოს საზოგადოებრივი სარგებლობის კომუნალურ საწარმოთა (წყალსადენი, კანალიზაცია, ელექტროსადგური და სხვა მისთ.) მიერ მისთვის მიწოდებული პროდუქციის ანგარიშები იმ ვადაზე, რაც შეპირობებულია ხელშეკრულებით, ხოლო, უკეთუ ხელშეკრულება არ არსებობს,—არა უგვიანეს 5 დღისა ანგარიშის წარდგენის დღიდან.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს:

ა) დაავალონ საზოგადოებრივი სარგებლობის კომუნალურ საწარმოთ (წყალსადენი, კანალიზაცია, ელექტროსადგური, განმანაწილებელი ქსელის სამმართველო და სხვ. მისთ.) დაუდვან ხელშეკრულობები ყველა იმ დაწესებულებას და საწარმოს, რომელიც მათ პროდუქციას იყენებს საწარმოო მიზნით, აგრეთვე ამ პროდუქციის დიდრონ მომხმარებელთ და ამ ხელშეკრულებებში აუცილებლად აღნიშნონ პროდუქციის მოხმარების ნორმები, ტარიფები, სასყიდლის გადახდის ვადები და სხვა მისთ.;

ხელშეკრულებების დადების კამპანია დამთავრებულ იქნეს არა უგვიანეს 1932 წ. მაისის 1-სა;

ბ) გამოსცენ ამა დადგენილების 1-ლ და მე-2 მუხლებში აღნიშნული ნორმების ანალოგიური ნორმები სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ რესპუბლიკანურ და ადგილობრივ დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათათვის, და აგრეთვე ინდივიდუალურ მომხმარებელთათვის;

გ) უფლება მისცენ საზოგადოებრივი სარგებლობის კომუნალურ საწარმოთ, უკეთუ ანგარიშები განაღდებულნ არ იქნება ამა დადგენილების მე-3 მუხლით განსაზღვრულ ვადებზე,—შეუჩერონ პროდუქციის მიცემა ყველა დაწესებულებას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწარმოს, ორგანიზაციას და ცალკეულ პირს, რომელმაც ანგარიში არ გაანაღდა, იმ დაწესებულებათა გარდა, რომელთაც, მათი მუშაობის პირობების მიხედვით, არ შეიძლება შეუჩერდეთ კომუნალურ საწარმოთა პროდუქციის მიცემა თუნდაც დროებით (საავადმყოფო, ყაზარმა, შრომა-გასწორების დაწესებულება და სხვა მისთ.);

დ) უფლება მისცენ ადგილობრივ საბჭოებს—გამოსცენ ხოლმე, საჭირო შემთხვევაში, დადგენილებანი ცალკეულ კომუნალურ საწარმოთა პროდუქციის მოხმარების რეგულირებისათვის;

ე) დააწესონ საზოგადოებრივი სარგებლობის კომუნალურ საწარმოთა ანგარიშების განაღდების ვადის გადაცილებისათვის საურავი, რაც დაირიცხება ამა დადგენილების მე-2 მუხლში აღნიშნული ვადების გასვლისას, და აგრეთვე განსაზღვრონ ამ საურავის რაოდენობა.

4. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს და მის ადგილობრივ ორგანოებს—სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხარჯთაღრიცხვების განხილვის დროს ანგარიშში მიიღონ სრულად ხარჯები კომუნალური მომსახურეობისათვის დადგენილი მოხმარების ნორმების ფარგლებში.

5. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს და მის ადგილობრივ ორგანოებს, სსრკ სახელმწიფო ბანკის კონტორებსა და ფილიალებს და კომუნალურ ბანკებს—გაუწიონ კომუნალურ საწარმოთ ყოველგვარი დახმარება ამ საწარმოთა მიერ გაცემული პროდუქციის სასყიდლის თავის დროზე მიღების სფეროში, კერძოდ—შემოიღონ პრაქტიკად მოვალე-მომხმარებელთა ანგარიშებიდან კომუნალურ საწარმოთა ანგარიშებზე ამ უკანასკნელთა მიერ გაწეული კომუნალური მომსახურეობისათვის მისაღები სასყიდლის გადარიცხვა.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1932 წ. მარტის 15.
№ 464.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 73 №-ში 1932 წ. მარტის 28-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

63. 1933 წლის მშენებლობის პროექტთა დამზადების ვადების შესახებ.

1933 წლის მშენებლობის ობიექტების თავის დროზე პროექტებით უზრუნველყოფის მიზნით ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ყველა მშენებელ უწყებას და ორგანიზაციას—შეუდგეს სასწრაფოდ 1933 წლის მშენებლობის ობიექტებისათვის საგეგმო დავალებათა გამორკვევას, რათა ეს დავალებანი გადაეცეს საპროექტო ორგანიზაციებს; ეს მუშაობა დამთავრებულ იქნეს არა უგვიანეს მიმდინარე წლის აპრილის 1-სა.

2. 1933 წლის აგვისტოს 1-თვის 1933 წლის მშენებლობის ყველა ობიექტი უზრუნველყოფილ უნდა იქნეს დამტკიცებული საპროექტო დავალებებით.

3. 1932 წლის ოქტომბრის 15-თვის არა ნაკლებ 1933 წლის მშენებლობის ობიექტების 75%-ისა უზრუნველყოფილ უნდა იქნეს დამტკიცებული საესკიზო პროექტებით, ხოლო 1933 წლის იანვრის 15-თვის ყველა საესკიზო პროექტი განხილულ და დამტკიცებულ უნდა იქნეს.

4. 1933 წლის აპრილის 15-თვის დამთავრებულ და დამტკიცებულ უნდა იქნეს 1933 წლის მშენებლობის სამუშაო პროექტები.

5. ხელახლად დადასტურებულ იქნეს აკრძალვა ყოველგვარი ინდივიდუალური ლიმიტზე მცირე მშენებლობის პროექტირებისა იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ტიპური პროექტები.

6. დადგენილი ვადებიდან განდგომა შეიძლება განსაკუთრებულ შემთხვევაში მშენებლობის მრეგულირებელი ორგანიზაციების ნებართვით—კუთვნილებისამებრ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1932 წ. მარტის 15.
№ 465.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 73 №-ში 1932 წ. მარტის 28-ს.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

64. 1932 წლის მშენებლობის ობიექტთა პროექტების შედგენისათვის ზღვრული ვადების დადგენის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო, აღნიშნავს-რა 1932 წლის მშენებლობის პროექტების შედგენის დაგვიანებას და საჭიროდ სცნობს-რა ყოველმხრივ ბრძოლას განსაზღვრული ვადების დასაცავად,—ადგენს:

1. 1932 წ. მშენებლობის პროექტების დამზადების საბოლოო ვადად მიღებულ იქნეს ა/წ. მაისის 1-ლი.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ ტერიტორიაზე მყოფ ყველა საპროექტო ორგანიზაციას და სამეურნეო ორგანოს—გადასინჯოს პროექტების შედგენის ხელშეკრულებანი იმ აუცილებლობის თვალსაზრისით, რომ მტკიცედ უნდა იქნეს დაცული პირველი მუხლით დადგენილი ვადა.

3. 1932 წლის მშენებლობის ის ობიექტები, რომლებიც მაისის 1-თვის უზრუნველყოფილი არ იქნება პროექტებით, გამორიცხულ უნდა იქნეს 1932 წლის მშენებლობის გეგმიდან.

4. გამონაკლისი შეიძლება ფედერატიული მნიშვნელობის მშენებლობისათვის—ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს ნებართვით, რესპუბლიკანური მნიშვნელობის მშენებლობისათვის—სათანადო რესპუბლიკის ეკონომიური თათბირის ნებართვით, იმ აუცილებელი პირობით, რომ წარდგენილ იქნეს დასკვნები მრეგულირებელი უწყებებისა—კუთვნილებისამებრ (სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, მომარაგების სახალხო კომისარიატი, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი, კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატი).

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1930 წ. მარტის 15.
№ 466.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

65. იმ ბოროტმოქმედებებთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ, რაც ხდება ბამბის კონტრაქტაციის დროს და რაც იწვევს სახელმწიფო სახსარის განბნევას.

თანახმად სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მარტის 5-ის დადგენილებისა „იმ ბოროტმოქმედებებთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ, რაც ხდება ბამბის კონტრაქტაციის დროს და რაც იწვევს სახელმწიფო სახსარის განბნევას",—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ—შემოიღონ პასუხისმგებლობა სისხლის სამართლის წესით ბამბის დათესვის ოდენობის შესახებ ტყუილი ცნობების მიცემისათვის, რისთვისაც სოციალური დაცვის ღონისძიებად დაადგინონ თავისუფლების აღკვეთა ვადით ორ წლამდე.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1932 წ. მარტის 22.
№ 467.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 74 №-ში 1932 წ. მარტის 29-ს.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

66. ამიერკავკასიაში ბამბის თესვის ხელმძღვანელი კომისიის მოწყობის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ბამბის თესვის კამპანიისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად და ამ კამპანიის ჩატარებასთან დაკავშირებული ყველა ორგანიზაციის მოქმედების შესათანხმებლად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან მოწყობილ იქნეს ამიერკავკასიაში ბამბის თესვის ხელმძღვანელი კომისია შემდეგი შედგენილობით: ამხანაგნი ტერ-გაბრიელიანი (თავმჯდომარე), ვეზიროვი (თავმჯდომარის მოადგილე) ტოლსტოპიატოვი, ეფენდიევი, ასრიბეკოვი, ბირიუშევი, სვანიძე, ავისი, რასულ-ზადე, ბუკრეევი და რაჰიმოვი.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—მოაწყონ სათანადო რესპუბლიკანური კომისიები.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1932 წ. მარტის 25.
№ 463.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 71 №-ში 1932 წ. მარტის 26-ს.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

67. სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი ა/კსფსრ სახალხო კომისარიატებისა და დაწესებულებების მიერ საადმინისტრაციო-სამმართველო საჭიროებისათვის ბიუჯეტგარეშე სახსართა ხარჯვის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს, ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს—გადასინჯონ ორი დეკადის ვადაზე აპარატი და ხარჯთაღრიცხვა მთელი თავიანთი სისტემის ხაზით—ისე, რომ აპარატის შესანახი ხარჯები მოათავსონ 1932 წ. სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებულ თანხის ფარგლებში და არავითარ შემთხვევაში არ გამოართვან ქვემდებარე ორგანიზაციებს სახსარი თავიანთი აპარატის შესანახად.

2. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიისა და საკავშირო ყველა სამრეწველო, სამეურნეო, კოოპერატიულ და სავაჭრო ორგანიზაციას, ხელმძღვანელთა პირადი პასუხისმგებლობით, არავითარ შემთხვევაში არ გასცენ აპარატების შესანახად ფულადი სახსარი ხარჯთაღრიცხვებით დადგენილ თანხებზე ზედმეტად.

3. დაევალოს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს—სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი ორგანიზაციებისათვის ოპერატიული ხარჯების ხაზით კრედიტების გახსნის დროს—მოითხოვოს ამ კრედიტების ხარჯვის გეგმები, რომლებითაც მოსპობილი იქნება შესაძლებლობა ოპერატიული კრედიტების საადმინისტრაციო-სამმართველო ხარჯებისათვის მიქცევა.

ფულის ყოველი შემდგომი გაცემის დროს წარდგენილ უნდა იქნეს გეგმის აღსრულების ანგარიში და, უკეთუ გამოირკვევა, რომ ოპერატიული კრედიტი

ხარჯთაღრიცხვის ზედმეტად დახარჯულია საადმინისტრაციო-სამმართველო საჭიროებაზე, ეს დანახარჯი დაჭერილ უნდა იქნეს სახარჯთაღრიცხვო სამმართველო კრედიტებიდან დახარჯული ოპერატიული თანხის აღსადგენად; თანაც ეს უნდა ეცნობოს ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციას დამნაშავე პირთა პასუხისგებაში მისაცემად.

4. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—გამოსცენ ანალოგიური დადგენილება.

5. მიენდოს ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციას—გააკეთოს არა უგვიანეს ა/წ. მაისის 25-სა მოხსენება, როგორ ხორციელდება ეს დადგენილება.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1932 წ. მარტის 25.
№ 468.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

68. 1931 წლისათვის საბინაო მშენებლობის ღირებულების ლიმიტების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. 1931 წელს წარმოებულ სამუშაოთა გამოსაანგარიშებლად ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკებისათვის დადგენილ იქნეს შემდეგი ძირითადი ლიმიტები ერთ კუბიკურ მეტრ ნაგებობისა და ერთ კვადრ. მეტრ საცხოვრებელი ფართობის ღირებულებაზე:

რესუპუბლიკის სახელწოდება—ცენტრალურ ქალაქებსა და რაიონებზე დანაწილებით	ღირებულების ძირითადი ლიმიტი	
	შენობის ძირითადი კუბატურის 1 კუბიკ. მეტრზე	საცხოვრებელი ფართობის 1 კვადრ. მეტრზე
I. აზერბაიჯანი		
1. ბაქო ბაქოს რაიონით	26,6	146,9
2. სხვა რაიონები	21,0	136,5
II. სომხეთი		
1. ერივანი და სხვა რაიონები	20,0	143,0
III. საქართველო		
1. ტფილისი რაიონით	24,0	166,0
2. სოხუმი, ჭიათურა, ტყიბული	27,0	175,5

შენიშვნა. ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ შემუშავებული შემასწორებელი კოეფიციენტები ძირითადი ლიმიტებისა და მათი შეფარდების წესები ძალაში რჩება.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დააწესონ აღნიშნული რესპუბლიკების ცალკეული რაიონებისა და ქალაქებისათვის შენობების ერთი კუბიკური მეტრის და საცხოვრებელი ფართობის ერთი კვადრატული მეტრის ღირებულების ლიმიტები ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული ლიმიტების ფარგლებში.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1932 წ. მარტის 25.
№ 469.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

69. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკებისათვის 1932 წლის საბინაო მშენებლობის ღირებულების ლიმიტების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს 1932 წლ-ვის როგორც ახალი, ისე 1931 წლიდან გადმოსული საბინაო მშენებლობის ხაზით ა/კსფსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის მიერ დამუშავებული ძირითადი ლიმიტები ერთი კუბიკური მეტრი შენობის და ერთი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის ღირებულებისა ქვის და აგურის საცხოვრებელ შენობებში (იხილე დანართი).

2. ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კოოპერატიული დაწესებულება და საწარმო, აგრეთვე სახელმწიფო თუ კოოპერატიული კაპიტალის მარტოოდენობითი და უპირატესობითი მონაწილეობით მომქმედი სააქციო საზოგადოება (მშენებელი და სამშენებლო ორგანიზაცია), რომელიც ანხორციელებს მშენებლობას ნარდობითი ან სამეურნეო წესით, მოვალეა მიიღოს სახელმძღვანელოდ I-ლ კარში აღნიშნული ლიმიტები საბინაო მშენებლობის ღირებულებისა საპროექტო ხარჯთაღრიცხვების შედგენის და სათანადო საკრედიტო და სამშენებლო ორგანიზაციებთან ხელშეკრულებების დადების დროს.

3. ა/კსფსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს აქვს უფლება ამ ლიმიტების კორრექტირებისა, თუ საჭირო იქნება.

4. საცდელ-საჩვენებელი მშენებლობის ღირებულება, უკეთუ ეს მშენებლობა მოთავსებულია საცდელი მშენებლობის საერთო გეგმაში, რასაც ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისია ამტკიცებს, ან წარმოებულ უნდა იქნეს მთავრობის სპეციალური ნებართვით,—განისაზღვრება ხარჯთაღრიცხვით.

5. მშენებლობის ღირებულების გამოანგარიშების დროს ღირებულების აღრიცხვა ყველა მშენებელმა და სამშენებლო ორგანიზაციამ უნდა აწარმოოს ერთსა და იმავე დროს როგორც შენობის კუბიკური მეტრის ღირებულების, ისე საცხოვრებელი ფართობის კვადრატული მეტრის ღირებულების მიხედვით.

6. საბინაო მშენებლობის დაფინანსება სწარმოებს ამა დადგენილებით განსაზღვრული ერთი კუბიკური მეტრი შენობის ღირებულების ლიმიტის მიხედვით—მასში უწყებული ტიპის შესაბამისი შემასწორებელი კოეფიციენტის შეტანით.

7. მიენდოს ა/კსფსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს—დაადგინოს ლიმიტების შეფარდების წესები და ძირითადი ლიმიტების შემასწორებელი კოეფიციენტები სხვადასხვა ტიპის საცხოვრებელი შენობის და აგრეთვე არასამრეწველო მშენებლობის სხვა სახის შენობების ასაგებად ლიმიტების განსაზღვრისათვის.

8. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დაადგინონ ამ რესპუბლიკების ცალკეული რაიონებისა და ქალაქებისათვის ერთი კუბიკური მეტრი შენობისა და ერთი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის ღირებულების ლიმიტები ამა დადგენილების 1-ლი მუხლით გათვალისწინებული ლიმიტების ფარგლებში.

9. ვინაიდან საჭიროა სათანადო მასალის მიღება 1933 წლისთვის ღირებულების ლიმიტებისა და მატერიალური მაჩვენებლების დასამუშავებლად და გადიდებული მზომების გასაზუსტებლად,—დაევალოს ყველა საკავშირო, ამიერკავკასიის და რესპუბლიკანურ უწყებას, დაწესებულებას და ორგანიზაციას, რომელიც ა/კსფსრ-ში არასამრეწველო მშენებლობას ანხორციელებს, უზრუნველყოს დაწვრილებითი ტეხნიკური ანგარიშების შედგენა ობიექტებისათვის იმ სატიტულე სიისა და მეთოდოლოგიის თანახმად, რასაც დააწესებს ა/კსფსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1932 წ. მარტის 25.
№ 470.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ა ნ ა რ თ ი.

1932 წლის საბინაო მშენებლობის ღირებულების ძირითადი ლიმიტები ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკებისათვის.

გამოანგარიშებულია 1931 წ. ფასების მიხედვით.

ა/კსფსრ რესპუბლიკები რაიონებზე დანაწილებით	ქვისა და აგურის საცხოვ. სახლები	
	ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა	
	შენობის ძირითადი კუბატ. 1 კუბ. მეტრი	საცხოვრებელი ფართობის 1 კვადრ. მეტრი
I. ა ზ ე რ ბ ა ი ჯ ა ნ ი		
1. ბაქო ბაქოს რაიონით	20,4	132,6
2. სხვა რაიონები	19,0	123,5
II. ს ო მ ხ ე თ ი		
1. ერევანი და სხვა რაიონები	20,0	130,0
III. ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო		
1. ტფილისი რაიონებით	21,6	140,4
2. სოხუმი, ჭიათურა, ტყიბული	24,3	158,0

შენიშვნა 1. ზემოაღნიშნული ძირითადი ლიმიტები ერთი კუბიკური მეტრი შენობის და ერთი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის ღირებულებისა ეხება განსაზღვრული ტიპის სახლებს, სახელდობრ: 3-სართულიან აგურის სექციურ სახლს სამოთახიანი ბინებით, სამ-მეტრიანი სადგომის სიმაღლით, ყველა დამხმარე სადგომით, ხოლო უვერანდოდ, უტერასოდ, უაივნოდ და უსარდაფოდ.

შენიშვნა 2. საცხოვრებელი სახლების აღნიშნულ ძირითად ლიმიტებში არ შედის ხარჯები წყალსადენისა და კანალიზაციის გამართვისათვის და სახლში ელექტროგაყვანისა და საეზოო კეთილმოწყობისათვის.

შენიშვნა 3. სხვა ტიპის სახლებისათვის, რომლებიც განესხვავება მიღებულ ტიპს (ორსართულიანი, აივნიანი, სარდაფიანი, ოროთახიანი ბინებით, ალიზისა და სხვ.) სხვადასხვა სახის კეთილმოწყობის (წყალსადენი, კანალიზაცია და სხვ.) ღირებულების გამოსაანგარიშებლად ძირითადი ლიმიტის შემასწორებელ კოეფიციენტებს და შეფარდების წესებს ამყარებს ა/კსფსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატი.

შენიშვნა 4. საცხოვრებელი ფართობის 1 კვ. მეტრის ლიმიტი მიიღება 1 კუბ. მეტრის ღირებულების ლიმიტის გამრავლებით მოცულობითს კოეფიციენტზე 6,5 (როდესაც სადგომის სიმაღლე 3 მეტრია).

შენიშვნა 5. ლიმიტში შედის:

ა) შესრულებული სამშენებლო სამუშაოების ყველა ხარჯი (ძირითადი სამშენებლო კონსტრუქციებისა და მოსათავებელი სამუშაოებისა); ამასთანავე, მუშა-ძალისა და მასალის ღირებულება გამოიანგარიშება ისეთი შენობებისათვის, რომლებიც იგება ნორმალურ პირობებში—თავისუფალ საალნაგო ფართობზე, საშუალო სიმკვრივისა და ბუნებრივი სინოტივის ნიადაგზე;

ბ) მასალის გადაზიდვის ღირებულება 5 კილომეტრის რადიუსზე;

გ) ყველა განსაზღვრული საორგანიზაციო ხარჯი, რაც კანონით არის გათვალისწინებული.

შენიშვნა 6. ეს ლიმიტები გამოანგარიშებულია 1931 წ. ფასების მიხედვით; უკეთუ საშენი მასალის და ტრანსპორტის ფასები შეიცვალა ა/კსფსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს უფლება ეძლევა მოახდინოს ამ ლიმიტების სათანადო კორრექტირება.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

70. „ა/კსფსრ-ში შრომისა და გარე-სამუშაოზე გასვლის დაგეგმვის თაობაზე“ მიღებული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის დეკემბრის 1-ლის დადგენილების აღსრულების მსვლელობის შესახებ.

მოისმინა-რა ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენლის ამხ. პოტერიახინისა, ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრის წარმომადგენლის ამხ. ავისისა და ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის წარმომადგენლის ამხ. ნიკიტინის მოხსენება „ა/კსფსრ-ში შრომისა და გარე-სამუშაოზე გასვლის დაგეგმვის თაობაზე“ მიღებული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დეკემბრის 1-ლის დადგენილების შესრულების შესახებ, აღსრულების შემმოწმებელი კომისია ადგენს:

1. აღინიშნოს, რომ აშკარად არადამაკმაყოფილებელია შრომის ბალანსების შედგენისა და გარე-სამუშაოზე გასვლის ორგანიზაციისათვის წარმოებული მუშაობის მსვლელობა.

2. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიისა და რესპუბლიკანურ ყველა სახალხო კომისარიატს, სამეურნეო ორგანოს და სამეურნეო შენაერთს, სამშენებლო, სამრეწველო და სატრანსპორტო ორგანიზაციას:

ა) დაუყოვნებლივ დააჩქაროს და გააძლიეროს რაოდენობითი და თვისებითი მხრივ თავისი აპარატი ჯგუფებით შრომის ბალანსებისა და მუშა-ძალის მოგროვების ხაზით და უზრუნველჰყოს ცოცხალი ხელმძღვანელობისა და დახმარების გაწევა თავისი ორგანიზაციებისათვის პერიფერიაზე;

ბ) უზრუნველჰყოს თავისი ქვემდებარე ორგანიზაციებისა და პერიფერიის მუშაობის სათანადო ტემპები და ღირსება შრომის ბალანსების შედგენისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მათ მიერ განსაზღვრული ინსტრუქციებისა და ბალანსების ფორმების ზედმიწევნით შესრულებისათვის; თანაც დააწესოს ქვემდებარე ორგანიზაციების ყოველდეკადური მოხსენებები ამ მუშაობის მსვლელობის შესახებ:

პერსონალური პასუხისმგებლობა ამა მუხლის შესრულებისათვის დაეკისროს ჩამოთვლილი ორგანიზაციების ხელმძღვანელთ;

გ) უზრუნველჰყოს სამი დღის ვადაზე რაიონებში გასვლა ყველა იმ მომუშავისა, რომელიც მობილიზებულია როგორც კოლექტიური მეურნეობების საწარმოო გეგმებისა, ისე შრომის ბალანსების შედგენისათვის რაიონებში, და პერსონალური პასუხისმგებლობა აღნიშნული მომუშავეების თავის დროზე რაიონებში გასვლისათვის დააკისროს სათანადო ორგანიზაციების ხელმძღვანელთ.

3. დაევალოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიებს, საკოლმეურნეო ცენტრებს და შრომის სახალხო კომისარიატებს—სასწრაფოდ გაშალონ მუშაობა მიმდინარე წელს გარე-სამუშაოზე გასვლის რაიონებისა და რაოდენობის გამოსარკვევად.

4. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს და ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრს—თვითეულს მისი ხაზით—წარმოუდგინონ, არა უგვიანეს ა/წ. აპრილის 20-სა, აღსრულების შემმოწმებელ კომისიას მოხსენება 1932 წელს გარე-სამუშაოზე გასვლის ორგანიზაციის ღონისძიებათა შესახებ და დაინტერესებული ორგანოების მიერ სსრკ-ის ცენტრალური საკონტროლო კომისიისა და მუშათა გლეხთა ინსპექციის 1930 წ. აგვისტოს 28-ის და სსრკ-ის შრომის სახალხო კომისარიატის 1930 წ. სექტემბრის 26-ის დადგენილებათა (გარე-სამუშაოზე გასვლის შესახებ) შესრულების თაობაზე.

5. დაევალოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებთან არსებულ აღსრულების შემმოწმებელ კომისიებს—სისტემატიურად შეამოწმონ ხოლმე შრომის ბალანსების შედგენისა და გარე-სამუშაოზე გასვლის ორგანიზაციისათვის წარმოებული მუშაობა ყველა იმ ორგანოსი, რომელიც მოვალეა აწარმოოს ეს მუშაობა ან ხელმძღვანელობა გაუწიოს მას; თანაც პასუხისგებაში აძლიონ ყველა ის, ვინც დამნაშავე იქნება ვადების ჩაშლაში, არაგამოსადეგი მასალების წარდგენაში და აღნიშნული ხაზით გამოცემული ძირითადი დადგენილებების შეუსრულებლობაში.

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
თავმჯდომარის მოადგილე **დოგადოვი.**

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
მდივანი **თ. მელნიკოვი.**

1932 წ. მარტის 17.
ტფილისი.

მთავლიტი № 1357. საქ. სახკომსაბჭოს სტამბა. დაკვ. 763. ტირაჟი 1.400